# რუსთავის აზოტი

| | |
|---|---|
| ქვეყანა: | საქართველო |
| პროექტის ნომერი: | 47513 |
| დარგი: | მრეწველობა და მომსახურება |
| შეტყობინების სახე: | კერძო |
| გარემოსდაცვითი კატეგორია: | B |
| საბჭოზე განხილვის თარიღი: | 2015 წლის 25 ნოემბერი |
| სტატუსი: | გავლილი აქვს კონცეპტუალური განხილვის ეტაპი, ექვემდებარება საბოლოო მიმოხილვას |
| განსაჯაროებულია: | 2015 წლის 23 ოქტომბერს |

## პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (შემდგომში „ევრობანკი“) 200 მილიონი აშშ დოლარის გაცემას აპირებს საქართველოში რეგისტრირებული შპს „რუსთავის აზოტის“ (შემდგომში „კომპანია“) დასაფინანსებლად. ის სასუქ მასალებს აწარმოებს აზოტის ბაზაზე. კომპანია არის კავკასიის რეგიონში ამ პროდუქციის ძირითადი მიმწოდებელი. მისი წლიური წარმადობაა 220 000 ტონა ამონიუმი.

## პროექტის მიზნები

პროექტი გულისხმობს კომპანიის საბალანსო უწყისის რესტრუქტურიზაციას და კაპიტალური ხარჯების პროგრამას, რომელიც ნაწილობრივ დააფინანსებს ამჟამად უმოქმედო ამონიუმის წარმოების ხაზის რეკონსტრუქციას და ექსპლუატაციაში მის ხელახლა გაშვებას მოახდენს.

ფინანსური რესტრუქტურიზაციის მიზანია კომპანიის დავალიანების გაწერა და ვალის საერთო ვადიანობის გაზრდა. ახალი საინვესტივიო პროგრამა გააორმაგებს კომპანიის ამონიუმის წარმოების პოტენციალს და გააუმჯობესებს კომპანიის ენერგო-ეფექტურობას.

# ეკონომიკის გარდაქმნის ეფექტი

მოსალოდნელია, რომ პროექტი პოზიტიურ ეფექტს იქონიებს ეკონომიკური გარდაქმნის კუთხით, ძირითადად კორპორატიული მმართველობის სტანდარტების და ბიზნესის წარმოების სტანდარტების განსაზღვრით, ისევე როგორც ახალი ქცევითი მოდელისა და ქმედებების დემონსტრირებით.

დაგეგმილი მოდერნიზაციის პროგრამა გულისხმობს ძველი წარმოების პროცესების განახლებას, რათა ამ პლატფორმებით მოხდეს თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილება საქართველოსა და ამიერკავკასიის მთელს რეგიონში სასუქების მწარმოებლებისთვის დაწესებული ციანიდის საერთაშორისო მართვის კოდექსის შესაბამისად. საერთო ჯამში, პროექტმა უნდა იქონიოს მნიშვნელოვანი სადემონსტრაციო ეფექტი ქვეყანაში მოქმედი სხვა საწარმოებისთვის რესურსების ეფექტურობისთვის განსაზღვრული სტრატეგიული გზამკვლევების განხორციელების კუთხით.

# ინფორმაცია კლიენტის შესახებ

შპს „რუსთავის აზოტი“

შპს „რუსთავის აზოტი“ უმსხვილესი საწარმოა ქვეყანაში. მასში 2300 ადამიანია დასაქმებული. ის სასუქი მასალების უმთავრესი მომწოდებელია საქართველოსა და ამიერკავკასიის მთელ რეგიონში. კომპანიის ფაქტიური წლიური წარმადობაა 500 000 ტონა ამონიუმის ნიტრატი, 220 000 ტონა ამონიუმი და 14 000 ტონა სოდიუმის ციანიდი. 2014 წელს მისი მთელი შემოსავლების 85 პროცენტი კომპანიამ ექსპორტიდან მიიღო და ამდენად ქვეყნის ერთერთი უმსხვილესი ექსპორტიორის სტატუსი მოიხვეჭა.

# ევრობანკის დაფინანსების მოკლე აღწერა

75,000,000.00 აშშ დოლარი

დაფინანსება შედგება მთავარი (A/B) და სუბორდინირებული (C) სესხებისგან, ჯამში 200 მილიონი აშშ დოლარის (179 მილიონი ევროს) ოდენობით, რომლის სინდიცირება მოხდება საერთაშორისო კომერციული ბანკების და/ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან.

# პროექტის ჯამური ხარჯი

220,000,000.00 აშშ დოლარი

პროექტის ჯამური ხარჯია 220 მილიონი აშშ დოლარი (196 მილიონი ევრო).

# გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტი

პროექტს მინიჭებული აქვს B კატეგორია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (2014 წ.) შესაბამისად და დამოუკიდებელი კონსულტანტების მიერ ჩატარებული გარემოსდაცვითი და სოციალური სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე. ხსენებული დამოუკიდებელი მიმოხილვა გულისხმობდა ადგილის დათვალიერებას და პროექტის მიმოხილვას ევრობანკის გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ. სიღრმისეული შესწავლა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით განხორციელდა და გულისხმობდა არსებული დოკუმენტებისა და კლიენტის მიერ შევსებული კითხვარების გაცნობას, ობიექტზე გასვლას და წარმოების პროცესზე დაკვირვებას, პროექტისთვის გათვალისწინებული ადგილის მონახულებას, კლიენტის ხელმძღვანელ რგოლთან და პროექტის განმახორციელებელ გუნდთან გასაუბრებას, პროექტის სხვა მრჩევლებთან შეხვედრებს.

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, ისევე როგორც დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა, შემუშავდა სიღრმისეული შესწავლის და ევრობანკის შედეგიანობის მოთხოვნებთან შედარებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების ანალიზის, ასევე ენერგო-ეფექტურობის აუდიტის საფუძველზე. სიღრმისეული შესწავლით გამოაშკარავდა, რომ პროექტი შეიძლება იმ სტრუქტურას ეფუძნებოდეს, რომელიც ევრობანკის შედეგიანობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ძირითადი მაკორექტირებელი და გაუმჯობესების ზომები სხვა მრავალ საკითხს შორის გულისხმობს შემდეგს:

- გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის რისკის მართვის სტრუქტურის შემუშავებას, მათ შორის საწარმოს ფუნქციონირების მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მიმოხილვას, ისევე როგორც ამ სფეროში განსაზღვრული პროგრამის განხორციელებას. ამ სტრუქტურის შემუშავებაში დახმარების აღმოჩენის კონტექსტში კომპანიის ხელმძღვანელი რგოლი და შესაბამისი ერთეულების თანამშრომლები საკადრო გადამზადების კურსებს გაივლიან. ამ სტრუქტურის შემუშავებაზე პასუხისმგებელი იქნება კონკრეტული ხელმძღვანელი პირი.
- გარემოსდაცვითი მართვის სისტემის, ასევე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის (საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიაციის მიერ განსაზღვრული სტანდარტებით ISO 14001 და OHSAS 18001 ან მათი ექვივალენტებით) შემუშავება და განხორციელება.
- ევრობანკის შედეგიანობის მოთხოვნების შესაბამისად, საკადრო რესურსების პოლიტიკის შემუშავება და მისი გაზიარება კოლექტივის შიგნით და კონტრაქტორებთან.
- საქართველოს გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მარეგულირებელი/ნებართვების და მონიტორინგის მოთხოვნებთან

შესაბამისობის უზრუნველყოფა ამონიუმის საწარმოში და საქმიანობის იმგვარი განხორციელება, რომლითაც დაკმაყოფილდება საქართველოში არსებული ნორმატიული მოთხოვნები და საშუალოვადიან პერიოდში მოხდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

- ენერგიის მართვის სისტემის განხორციელება საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ISO 50001 სტანდარტის შესაბამისად.
- ზიანის მომტანი მასალების შესანახი სათავსოს შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა „სევესოს" დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად.
- საგანგებო სიტუაციებისადმი მზაობისა და რეაგირების გეგმის შემუშავება მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის შემუშავება და განხორციელება, ასევე გასაჩივრების მექანიზმების დანერგვა შედეგიანობის მე-10 მოთხოვნის შესაბამისად.

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმისა და პროგრამის განხორციელება პროექტის ფარგლებში შესაძლებელს გახდის ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. თუმცა, გაცნობიერებულია, რომ კომპანიას ევრობანკის დახმარება დასჭირდება გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელების პოტენციალის შექმნაში. ამ კუთხით მუშაობა უკვე დაწყებულია. პროექტი დაექვემდებარება ევრობანკის აქტიურ მონიტორინგს და კომპანია ვალდებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელების სტატუსზე, ასევე გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კუთხით კომპანიის მუშაობის შესახებ წლიური ანგარიშგება მოახდინოს.

## ტექნიკური თანამშრომლობა

პროექტს არ ეხება.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ბატონი ლევან ბურდილაძე
l.burdiladze@azot.ge
+995 341 27 09 00
+995 341 27 09 00
www.azot.ge
საქართველო, რუსთავი, მშვიდობის ქ. N2, საფოსტო ინდექსი: 3702.

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებზე და შესყიდვებზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

## ზოგადი ინფორმაცია

შესყიდვების გარდა, ევრობანკის პროექტების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მისაღებად:
ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

## საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა განსაზღვრავს ევრობანკის მიერ ინფორმაციის განსაჯაროების და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პრინციპებს, რაც განაპირობებს ცნობიერების ამაღლებას და მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და საქმიანობის უკეთ გაგებას.

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის ტექსტი

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი

ევრობანკს განსაზღვრული აქვს პროექტებთან დაკავშირებული საკითხების გასაჩივრების მექანიზმი, რათა შესაძლებელი იქნეს ერთი ან მეტი ადამიანის ან ორგანიზაციის მიერ შემოტანილი და ევრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობა თუ ივარაუდება, რომ იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ზიანი.

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის მარეგულირებელი წესები და პროცედურები
| რუსული ვერსია

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ნებისმიერი საჩივარი წარმოდგენილი უნდა იქნეს ევრობანკის მიერ ფინანსური რესურსის ბოლო ტრანშის ათვისებიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში. დახმარებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერს (ელ ფოსტა: pcm@ebrd.com) ან ევრობანკის წარმომადგენლობას შესაბამის ქვეყანაში თუ დარწმუნებული არ ბრძანდებით საჩივრის შემოტანის ვადებზე.